



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხომის
ოქმი N12**

ქ. ლანჩხუთი

31.05.2018 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარე ლელა ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე გიორგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო მიმიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვალერი წულაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ფაცურია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია, მერიის სივრცითი მოწყობისა და

ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელიკო იმნაძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ე. იმნაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის“ წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

6. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტში 2018 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ლ. ჩხაიძე/

7. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

8. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

9. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 25 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა, **ელიკო იმნაძემ**. მან აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული

დადგენილების ცვლილების პროექტი მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, ლევან ჩხაიძის 2018 წლის 17 აპრილის N444 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი სამსახურის დაქვემდებარებაში არსებული მეორადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განყოფილების, მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს (წამყვან სპეციალისტს) აქვს მუშაობის დატვირთული გრაფიკი. შესაბამისად, ითხოვს მოხელის კარიერულ განვითარებას (იმავე იერარქიულ რანგში დაბალი თანამდებობიდან მაღალ თანამდებობაზე გადაყვანა) და აღნიშნული საშტატო პოზიციის შეცვლას მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (მთავარი სპეციალისტი) პოზიციით.

საკრებულოს სხდომას შემოუერთდნენ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე გიორგი მორჩილაძე, საკრებულოს წევრები: დავით ჩხარტიშვილი და ოთარ პატიეშვილი.

საკრებულოს წევრი, ამირან გიგინეიშვილი დაინტერესდა წარმოდგენილი საშტატო ცვლილება გამოიწვევს, თუ არა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდას.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილება განხორციელდება მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში, რაც არ გამოიწვევს სახელფასო ფონდის გაზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა დადგენილება N26 (31.05.2018)

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ჩახვამემ. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები არის ტექნიკური ხასიათის, რომლის მიხედვით, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში (ვებგვერდი 10/08/2015წ, სარეგისტრაციო კოდი: 210020020.35.112.016235) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) დადგენილების მე-11 მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებული „დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია“ დანართი N1-ის 1-ლი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ხელშეკრულების გაფორმებას ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და მოსაკრებლის ამოღებას უზრუნველყოფს მერიის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“, რომლის შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური.

ბ) დადგენილების მე-11 მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებული „დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია“ დანართი N1-ის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ქვეთარი შენახული უნდა იქნეს ერთი წლის განმავლობაში. ქვეთარის დაკარგვის შემთხვევაში მის აღდგენას დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ახდენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური.“

გ) დადგენილების მე-11 მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებული „დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია“ დანართი N1-ის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს

შემდეგი რედაქციით:

მუხლი 7. კონტროლი მოსაკრებლის გადახდევინებისთვის

დასუფთავების წესების დარღვევაზე და დამრღვევთა მიმართ „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ნორმების განხორციელებაზე კონტროლი ეკისრება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს.“

დ) დადგენილების მე-11 მუხლის „ბ“ პუნქტით დამტკიცებული „დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების განკარგვის წესი“ დანართი N2-ის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დაგვა-დასუფთავების ობიექტების ჩამონათვალს ადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია.“

ე) დადგენილების მე-11 მუხლის „გ“ პუნქტით დამტკიცებული „დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირებისათვის დაწესდეს

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი და მისი ოდენობა“ დანართი N3-ის 26-ე

გრაფა ამოღებულ იქნას.

დეპუტატმა **ამირან ქანთარია** აღნიშნა, რომ ქალაქის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება ხდება N1 საჯარო სკოლამდე, მაშინ როცა ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვარი მთავრდება გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულის ხიდთან. მისი თქმით, წინა დღით მოხდა მხოლოდ აღნიშნული ტერიტორიის დასუფთავება, რაც მისასალმებელია და ასე უნდა გაგრძელდეს, მაგრამ კლინიკა „ჯამრთელობის“ მიმდებარედ, მოედანზე არის ეკალბარდები, რომელიც უცხოელ ტურისტებს რამდენჯერმე ფეხში შეესოთ, რასაც მათი მხრიდან გულისწყრომა მოჰყვა. მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურს უნდა დაევალოს აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

საკრებულოს წევრმა **აკაკი იმნაიშვილი** აღნიშნა, რომ მის საკუთრებაშია შ.პ.ს „მარგი“, რომელიც ორი ობიექტს მოიცავს. ერთი მდებარეობს ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში, მეორე შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში. იგი დაინტერესდა, თუ ვინ

უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ობიექტებიდან საწარმოო ნაგვის ნარჩენების გატანა, მაშინ როცა საწარმო ნაგვის გადასახადს ყოველთვის კეთილსინდისიერად იხდის.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** განმარტა, რომ წერილი გაეგზავნება შესაბამის სამსახურს და აღნიშნული პრობლემა უახლოეს პერიოდში მოგვარდება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება N27 (31.05.2018)**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**. მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №30 დადგენილებაში (ვებგვერდი 02/10/2015წ, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.112.016312) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება“ დანართი N1-ის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საბჭოზე გასატან საკითხებს ამზადებს და დღის წესრიგის პროექტს ადგენს საბჭოს მდივანი, რომელიც თანამდებობრივად არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსაზღვრული მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებში პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.“

ბ) დადგენილების მე-2 მუხლის დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება“ დანართი N1-ის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსაზღვრული გამგეობის გენდერული თანასწორობის საკითხებში პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.“

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება N28 (31.05.2018)**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატო მოქალაქის“ წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ.**

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება N29 (31.05.2018)**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ.** მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის №22 დადგენილების (ვებგვერდი 06/07/2016წ, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.112.0162735) პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესში“ შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული დოკუმენტების მიღება-რეგისტრაციას და მათ პირველად დამუშავებას ახორციელებს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილება.“

ბ) მე-4 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. მატერიალური სახით შემოსული დოკუმენტების დედნები ინახება მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილებაში.“

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება N30 (31.05.2018)

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2018 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართვლობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად განსახილველად და მოსაწონებლად წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2018 წელს დასაფინანსებელი პროექტი, რომლის მიხედვითაც განხორციელდება ჭადრაკის სახლის სრული რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება შეადგენს 86416 ლარს.

საკრებულოს წევრი, **კახაბერ ასკურავა** დაინტერესდა, რომ გასულ წელს წინა მოწვევის საკრებულოს მიერ სპორტის სასახლის აშენების თაობაზე მოწონებული პროექტი რატომ არ განხორციელდა.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტი შესაბამი დაფინანსებას ელოდება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N55 (31.05.2018)

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა, **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული განკარგულების ცვლილების პროექტის მომზადება განაპირობა სამართლებრივი აქტით დამტკიცებული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში არსებული მოძრავი ქონების (ავტომანქანების) შეფასებამ და შემდგომ მისი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმაში გადატანამ.

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტის დამტკიცების შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერიას მიენიჭება უფლებამოსილება განკარგოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმაში არსებული მოძრავი ქონება და განახორციელოს მისი პრივატიზება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N56 (31.05.2018)**

დღის წესრიგის მერვე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში შევიდა ცვლილება მიმდინარე წლის 3 მაისის N952 განკარგულებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2558849 ლარი; მათ შორის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჯიხეთის დედათა მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 942278 ლარი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში აკეთის, აცანის, ჩიბათის, ნინოშვილის, ნიგვზიანის, მამათის და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულებში რკინაბეტონის სანიაღვრე არხების, რკინა ბეტონისა და ასფალტო - ბეტონის საფარის მოწყობა 768297 ლარი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ბავშვთა საფეხბურთო სკოლის შენობის რეაბილიტაცია 848274 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის N957 განკარგულებით სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 180000 ლარი. სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წერილის საფუძველზე გამოყოფილი თანხა მიიმართება სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციაზე.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთლმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-ს წერილის საფუძველზე მიზანშეწოლილად ჩაითვალა შეუმცირდეს სუბსიდირების

დაფინანსება 17800 ლარით და გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 17800 ლარით.

დეპუტატი, **ელისო ჭიჭიმაძე** დაინტერესდა, რომ ბავშვთა საფეხბურთო სკოლის შენობის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი 848 274 ლარიდან რეაბილიტაცია ჩაუტარდება თუ არა ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ მინი საფეხბურთო სტადიონებს, რომლებიც კატასტროფულ მდგომარეობაშია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მერთან ერთად შეხვდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეს, რომელთანაც დაისვა აღნიშნული საკითხი. მისი თქმით არის დაპირება, რომ მინი საფეხბურთო სტადიონების რეაბილიტაცია უახლოეს პერიოდში მოხდება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N57 (31.05.2018)**

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრმა, **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ ავტობანის მშენებლობის დროს მოხდა ღობეების დარღვევა და სოფლების: ჯურუყვეთის, ეწრის, ახალსოფლის, ნიგვზიანის და ლესის საყანე ფართობები ფაქტობრივად შემოუღობავი დარჩა, სადაც პირუტყვს თავისუფლად შეუძლია შევიდეს და მოსახლეობას მოსავალი გაუნადგუროს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** განმარტა, რომ მას და მუნიციპალიტეტის მერს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში შეხვედრა ჰქონდათ საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენელთან, რომელიც კურირებს ავტობანის მშენებლობის პროცესს, სადაც მოხდა აღნიშნული საკითხის განხილვა. შეხვედრაზე ითქვა, რომ ზემოთ ხსენებული პრობლემის მოგვარებას ხელშეკრულების შესაბამისად უახლოეს პერიოდში უზრუნველყოფს უშუალოდ სამუშაოების შემსრულებელი კომპანია.

საკრებულოს წევრმა, **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ მას ელექტრონულ ფოსტაზე მიუვიდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ჟორდანიას ქ.N 126 -ში ხის გადამორვას. დეპუტატი დაინტერესდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განკარგულების მიღება რამდენად არის საკრებულოს პრეროგატივა.

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, **გიორგი ფაცურიამ** განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი არ არის საკრებულოს გადასაწყვეტი, ვინაიდან მუნიციპალიტეტს 2016 წელს მიღებული აქვს წესი, რომელიც არეგულირებს მსგავსი საკითხების მოგვარებას.

დეპუტატმა, **კახაბერ ასკურავამ** ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისთვის“ სახელით დააყენა წინადადება ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლას მიენიჭოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის მეთაურის, ნოე ჟორდანიას სახელი, რომლის მასშტაბის ფიგურა ლანჩხუთს არ ჰყოლია. მისი თქმით, ძალიან კარგი იქნება თუ N1 საშუალო სკოლის ისტორიულ შენობას ჩამოცილდება უსახურად შეღებილი საღებავი და სკოლის ფასადს დაუბრუნდება პირვანდელი იერსახე.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ** აღნიშნა, რომ იგი მიესალმება წამოყენებულ ინიციატივას და სხდომას გააცნო იურიდიული პროცედურები, რომლის საფუძველზეც N1 საშუალო სკოლას მიენიჭება ნოე ჟორდანიას სახელი. მისი თქმით, პირველ რიგში ეს საკითხი უნდა განიხილოს N1 საშუალო სკოლის სამეურვეო საბჭომ, გადაწყვეტილება მიეწოდება განათლების და მეცნიერების რესურსცენტრს, რომელიც თავის მხრივ მომართავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემის თაობაზე. ასევე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების მე-2 მუხლის შესაბამისად, სამშობლოს დაცვის, ქართული სახელმწიფოს მშენებლობის, საზოგადოების კონსოლიდაციის, აგრეთვე ქართული კულტურის, ხელოვნების, ენის, მეცნიერების, ლიტერატურის, სპორტის განვითარების საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული საერო ან სასულიერო პირის სახელი შეიძლება მიკუთვნებულ იქნას საჯარო სკოლისთვის, რომლის გარდაცვალებიდან გასულია მინიმუმ 20 წელი.

საკრებულოს წევრმა, **კახა თედორაძემ** აღნიშნა, რომ ზაფხულის საკურორტო სეზონისთვის სასწრაფოდ მოსაწესრიგებელი და დასასუფთავებელია ზღვის სანაპირო პლაჟი. ასევე მისი თქმით, ღრმაღელის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში არ არის ქსეროქსი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში ძლიერი ქარის გამო მოსახლეობას თხილის პლანტაციები ფაქტობრივად გაუნადგურდა. იგი დაინტერესდა რა ღონისძიებები ტარდება, რათა მოსახლეობას შესაბამისი ფულადი კომპენსაციები მიეცეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტმა ინფორმაცია მცისიერად მიაწოდა შესაბამის სამინისტროს.

საკრებულოს წევრმა, **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ როცა ხდება შეწამლვითი სამუშაოების შესრულება, მოსახლეობის გაფრთხილება უნდა მოხდეს მინიმუმ 24 საათით ადრე, რათა პრეპარატმა არ გამოიწვიოს ადამიანებზე

გარკვეული უარყოფითი ზემოქმედება. ასევე მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის წარმატებულ წვრთნელთა და სპორტსმენთა წახალისების პროგრამაში ვერ მოხვდა რაიონის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპორტის სახეობა - კარატე. მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რათა აღნიშნულ სპორტის სახეობას მიექცეს მაქსიმალური ყურადღება. გარდა ამისა, მისი თქმით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რელიგიის დაფინანსებისთვის გათვალისწინებული 40 000 ლარიდან გარკვეული თანხა უნდა მოხმარდეს ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში ტაძრის მშენებლობას.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ რამდენიმე კვირის უკან გაირკვა, თურმე ლანჩხუთს სახანძრო მანქანა არ ყოლია, რაც არის სამარცხვინო ფაქტი. მოსახლეობა ფაქტობრივად დაუცველია ხანძრებისგან.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი მუნიციპალიტეტის მერის მიერ მყისიერად დაისვა შესაბამის სამინისტროში და იგი იმედოვნებს უახლოეს პერიოდში ეს პრობლემა მოგვარდება.

საკრებულოს წევრმა, **კარლო კვიციანიშვილმა** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში საღამოობით თავს იყრის სამოვრებიდან წამოსული პირუტყვი, რომლებიც აბინძურებენ ქალაქს. მოსახლეობის თხოვნა არის, დროულად მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი, ასევე მისი თქმით, ქალაქის ცენტრში ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოგვარდეს საზოგადოებრივი საპირფარეშოს პრობლემა.

საკრებულოს წევრმა, **აკაკი იმნაშვილმა** აღნიშნა, რომ შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ყოფილი კულტურის სახლის შესაღობად აუცილებლად უნდა გამოიყოს შესაბამისი თანხა, რადგან შენობა არის ავარიულ მდგომარეობაში და მისმა ჩამონგრევამ შესაძლებელია გამოიწვიოს რაიმე უბედური შემთხვევა.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

